| კოდი | პროგრამის დასახელება | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|-------|----------------------|----------------------------|------------------------------------|
| 02 05 | | | 1427,2 |

| | |
|--|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის აღდგენა, საფეხმავლო გზებზე დაზიანებული ბორდიურების და ფილების ამოცვლა, ქალაქში ხიდებზე მოაჯირების და ბორდიურების შეღებვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით . |
| პროგრამის მიზანი დამოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა,მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების დაგართობის ადგილების შექმნა,შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი დამოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა. |

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია | 2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|----------|-------------------------|---|------------------------------------|
| 02 05 01 | | | 1427,2 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა | <p>პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას კერძოდ მინი სტადიონების, სკვერების და დასასვენებელი პარკების თანამედროვე სტილის ატრაქციონებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებობს 18 მინი-სტადიონი, აქედან რეაბილიტირებულია 8 მინი-სტადიონი. ასევე 8 სკვერი (სოფელ მაშავერას, სოფელ დიდი დმანისი-ვარდისუბნის, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ გომარეთის და ქალაქის 3 სკვერი).</p> <p>საანგარიშო წელს განხორციელდება 1427198 ლარის შემდეგი პროექტების რეაბილიტაცია :</p> <ul style="list-style-type: none"> -სოფელ პანტიანში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობაზე-465336 ლარი. -სოფელ ქვემო ოროზმანის სტადიონის და სკვერის მოწყობაზე - 523 501 ლარი. -სოფელ დაგარახლოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოებზე -251959 ლარი - ქ.დმანისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს შემოღობვა და საპირფარეოს მოწყობა-126805 ლარი. -სოფელ განთიადში ეკლესიის არსებული ტერიტორიის შემოღობვა-59597 ლარი. |
| ქვეპროგრამის მიზანი | მოსახლეობის დასვენებისა და ჯანსაღი სხოვრებისათვის საჭირო გარემოს შექმნა |

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

| კოდი | პროგრამის დასახელება | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-------|----------------------|-----------------------------|----------------------------------|
| 02 06 | | | 1200,0 |

| | |
|--|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის, მერისა და მერის წარმომადგენლების ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, შემდგომ მათი მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. |
| პროგრამის მიზანი | სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება |

ზ) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და საექსპერტო მომსახურება.

| კოდი | პროგრამის დასახელება | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-------|----------------------|--|----------------------------------|
| 02 07 | | | 550,0 |

| | |
|--|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური |
|--|--|

| | |
|--------------------------------|---|
| <p>პროგრამის აღწერა</p> | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p> |
| <p>პროგრამის მიზანი</p> | <p>ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა</p> |

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წელი |
|-----------------|--|-----------|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2 557,1 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2 424,0 |
| 030101 | ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი | 2 424,0 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 0,0 |
| 03 03 | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 103,1 |
| 03 04 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 30,0 |

ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

| კოდი | პროგრამის დასახელება | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|-------|----------------------|------------------------------|------------------------------------|
| 03 01 | | | 2424,0 |

| | |
|---------------------------------------|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი |
| პროგრამის აღწერა | <p>დმანისი მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -დმანისის სერვის ჯგუფი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი და 1 საამშენებლო ნარჩენების ავტომანქანა, სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში.რომლის გატანაც ხდება ქალაქ ბოლნისში არსებულ სპეციალურ ნაგავსაყრელზე.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 700 ერთეულს,მათ შორის 180 განთავსებულია ქალაქში,ხოლო დანარჩენი სოფლებში-520. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 44 მ/კუბ ნარჩენი,ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენების მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78000 მ2 ქუჩებისა და 24180 მ2 სკვერების დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული პარკების და სკვერების მოვლა - პატრონობა,კერძოდარსებული მწვანე ნარგავების მოვლის და აღდგენის ღონისძიებები ,ნიადაგის მომზადება,ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა,მორწყვა,შეწამვლა აღნიშნულ ღონისძიებებს ემსახურება 3 თანამშრომელი.</p> <p>კომუნალური სამსახური მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას 3441 სანათი წერტილის დაზიანების შემთხვევაში გამოცვლას,ამორტიზებული ბოძების შეკეთებას ახლით ჩანაცვლებას,აღნიშნულ ღონისძიებას ემსახურება 3 თანამშრომელი.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უფასო მოხვნა ერთ ჰექტრამდე იმ ოჯახებისათვის,რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000 -ს. ასევე მომსახურებას გაუწევს სასმელი წყლის სისტემების მოვლა-შენახვას-დაზიანებული ხაზების დროულ აღდგენას და ხარისხიანი წყლის მიწოდება მოსახლეობისათვის.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს.სულ სამსახურში დასაქმებულია 79</p> |

| | |
|--|---|
| | თანამშრომელი |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა |

ა.ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|----------|-------------------------|----------------------------------|------------------------------------|
| 03 01 01 | | | 2424,0 |

| | |
|--|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი |
| ქვეპროგრამის აღწერა | <p>პროგრამის ფარგლებში ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დმანისიდან და მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქ ბოლნისის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 700 ერთეულს, მათ შორის 180 განთავსებულია ქალაქში და 520 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 44 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78 000 მ² ქუჩებისა და 24 180მ² სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ქ.დმანისში, მიმდებარე სოფლებში ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება.სადაც დასაქმებულია 79 თანამშრომელი</p> |
| ქვეპროგრამის მიზანი | <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ,შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალიტეტის სერვისის გამართული ფუნქციონირება რის შედეგად მიიღწევა ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.</p> |

ბ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა

| | | | |
|-------|----------------------|--|-------------------------------------|
| კოდი | პროგრამის დასახელება | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| 03 02 | | | 0 |

| | |
|---------------------------------------|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“ |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების(რაოდენობა) მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში მხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 სამტატო ერთეულის ხელფასის დაფინანსება. |
| პროგრამის მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა. |

გ) კაპ. დაბანდებები დასუფთავების სფეროში

| | | | |
|-------|----------------------|---|---------------------------------------|
| კოდი | პროგრამის დასახელება | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
| 03 03 | | | 103,1 |

| | |
|--|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | დმანისის მუნიციპალიტეტის მერია |
| პროგრამის აღწერა | დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შეძენილი ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანისათვის საჭირო ინვენტარის, ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენა, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | დმანისის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა |

დ) უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

| | | | |
|-------|----------------------|--|--------------------------------------|
| კოდი | პროგრამის დასახელება | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 2025წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
| 03 04 | | | 30,0 |

| | |
|--|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი“ |
| პროგრამის აღწერა | <p>პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, რომელსაც უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მიუსაფარი შინაური ცხოველის დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით; მიუსაფარ შინაურ ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან საჭდით („ბირკით“); საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან/და ინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის (სისხლის, შარდის, ბეჭვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა (დეჰელმინთიზაცია, ვაქცინაცია (მათ შორის „კომპლექსური“, „ანტირაბიული“) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველის ევთანაზია; საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის, დეზინსექციის, დეზაკარიზაციის და დერატიზაციის ღონისძიებათა განხორციელება; ევთანაზირებული ან დაცემული ცხოველის ლეშის გადატანა შესაბამის ბიოთერმულ ცხოველთა სამარხში (ბეკარის ორმოში), ცხოველის ლეშის დამარხვისთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე ან კრემატორიუმში; მიუსაფარი შინაური ცხოველის გაჩუქება, მიკედლება, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;</p> <p>ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერინარული და სხვა ღონისძიებების გატარების შემდგომ, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველის (რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს) ბუნებრივ არეალში ან პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაბრუნება; საჭიროების შემთხვევაში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოსთვის მიმართავა მიუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად;</p> |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, მიუსაფარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა ვეტერინარულ ღონისძიებების გატარების გზით |

2. განათლება (0400)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

| | | |
|-------|------------|-----------|
| | დასახელება | 2025 წელი |
| 04 00 | განათლება | 2 067,9 |

| | | |
|----------|--|---------|
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდა | 1 849,6 |
| 04 01 01 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება | 1 849,6 |
| 04 01 02 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია | 0,0 |
| 04 02 | პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 218,3 |
| 04 02 01 | საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა | 203,1 |
| 04 02 02 | პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა | 15,2 |
| 04 03 | საჯარო სკოლების დაფინანსება | 0.0 |
| 04 03 01 | სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 0.0 |
| 04 03 02 | ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია | 0.0 |

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

| კოდი | პროგრამის დასახელება | სკოლამდელი აღზრდა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-------|----------------------|-------------------|----------------------------------|
| 04 01 | | | 1849,6 |

| | |
|--|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური |
| პროგრამის აღწერა | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 10 საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების მოსახლეობას: სოფელი იაღუფლო, კამარლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დალარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ბაზაქლო, სოფელი კარაბულახი, სოფელი განთიადი, სოფელი კიზილქილისა, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ბოსლები, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მაშავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამომავლოდ დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ბოსლებში და ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ დიდ სოფლებში ამამლოში და ირგანჩაიში. |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა | 2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|---|-------------------------|---|------------------------------------|
| 04 01 01 | | | 1849,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური | |
| ქვეპროგრამის მიზანი | | სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | <p>დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი და დამატებით რეაბილიტაციის პროცესშია ერთი ბაღი - ქალაქ დმანისის N1, N2, N3 ბაღები, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ სარკინეთის, სოფელ მაშავერასა და სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღები. მთლიანად სამსახურში დასაქმებულია 60 თანამშრომელი, მათ შორის 16 აღმზრდელი და 12 თანამემწე, ხოლო ირიცხება 340 აღსაზრდელი, აქედან ბიჭი 172, გოგო 168. ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებასა და ა.შ. ადგილობრივი სუბსიდია ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.</p> | |

ბ) საგანმანათლებლო ცენტრი

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა | 2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|---|-------------------------|---|------------------------------------|
| 04 02 01 | | | 203,1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი | |
| ქვეპროგრამის მიზანი | | მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში. | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2021 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღზრდელო პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და მიმდინარე წელს პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე სწავლობდა 157 ბენეფიციარი ჯგუფის წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობის დაფინანსებით</p> | |

| | |
|--|--|
| | <p>მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ახდენს მათ ტრანსპორტირებას. პროგრამაში ჩართულნი არიან სოფლები: ზემო და ქვემო ოროზმანი, ბაზაქლო, დალარი, კარაბულახი, შინდლარი, დაგარახლო, ამამლო, მამიშლო და სოფლებთან ერთად ქალაქ დმანისის მკვიდრი ახალგაზრდები.</p> |
|--|--|

პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა

დანართი 4

| ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2 | | | |
|---|---|---|--------|
| პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: | | პროფესიული სწავლების ხელშეწყობა | |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | | | 040202 |
| ქვეპროგრამის დასახელება: | | პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა | |
| გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | | მიზანი 4 მიზანი 1 | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? | | კი | არა |
| თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | |
| პროგრამის დასახელება | | 2025 წელი | |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | | 15,2 | |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | 0 | |
| სხვა | | 0 | |
| სულ ქვეპროგრამა | | 15,2 | |
| მიზანი და აღწერა | <p>მიზანი: დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხელმისაწვდომობის ზრდა, პროფესიული სტუდენტების როგორც დმანისის მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით, პრიორიტეტულ სფეროებში მომზადება, დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლის ხელშეწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროფესიის დაუფლების მიზნით ჩაირიცხებიან დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედ შვეიცარიულ-აგრარულ სკოლა „აკაკასიაში“, დმანისის მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს სწავლას 50 % ოდენობით.</p> <p>ასევე, 2024 წლიდან პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს (შვეიცარიულ-აგრარული სასწავლებლის სტუდენტების გარდა), რომლის სასწავლებელში ჩარიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, ერთჯერადი წახალისების სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცემა თანხა 300 ლარის ოდენობით.</p> | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება | 2024 | | |
| პროფესიული სტუდენტის სწავლის დაფინანსება | 8,0 | | |

| | |
|---|---|
| პროფესიული სტუდენტის ერთჯერადი წახალისება | 7,2 |
| ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა | 1 კვარტალი |
| ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება | |
| პროფესიული სტუდენტის სწავლის დაფინანსება | |
| პროფესიული სტუდენტის ერთჯერადი წახალისება | X |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2023 წელი) | პროფესიული სტუდენტების დაფინანსების გზით, მუნიციპალიტეტში წახალისებულია პროფესიული სწავლება |

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა

| კოდი | პროგრამის დასახელება | საჯარო სკოლების დაფინანსება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|----------|--|---|----------------------------------|
| 04 03 | | | |
| | პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | |
| | პროგრამის მიზანი | საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა. | |
| | პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია მოსწავლე. 2021 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|----------------|---|---|----------------------------------|
| 04 03 01 | | | |
| | ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | |
| | ქვეპროგრამის მიზანი | საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა. | |

| | |
|-----------------------------------|---|
| <p>ქვეპროგრამის აღწერა</p> | <p>ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია მოსწავლე. 2023 წელს პროგრამით ისარგებლებენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი</p> |
|-----------------------------------|---|

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------|--|--|----------------------------------|
| 04 03 02 | ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | |
| ქვეპროგრამის მიზანი | | მუნიციპალიტეტის სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების აშენება, რეაბილიტაციას და ზოგადად ინფრასტრუქტურის განვითარება/გამართვას. მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ზედამხედველობას უწევს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს 27 საჯარო სკოლა, აქედან 17 საშუალო და 10 საბაზო სკოლა. პროგრამის ფარგლებში 2018 წლიდან დღემდე მოეწყო სკოლათა სველი წერტილები(ქალაქ დმანისის N1,განთიადის საჯარო სკოლა, მაშავერას საჯარო სკოლა,დიდი დმანისის საჯარო სკოლა, კამარლოს სკოლა, დაგარახლოს სკოლა, ოროზმანის სკოლა და სხვა). შეიცვალა სახურავი სარკინეთის სკოლაში. დამონტაჟდა გათბობის სისტემები და სხვა. | |

4. კულტურა, ახალგაზრდობა სპორტი 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას.ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით)განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას,წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასდა შესაბამისი პირობების შექმნას,რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

| პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება | | 2025 წელი |
|--|---------------------------------|-----------|
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 3621,4 |

| | | |
|-------------|--------------------------------------|--------|
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 1121,6 |
| 05 01 01 | სპორტული სკოლის ხელშეწყობა | 980,9 |
| 05 01 02 | სპორტული ღონისძიებები | 140,7 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 2072,8 |
| 05 02 01 | კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1097,7 |
| 05 02 02 | სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა | 315,6 |
| 05 02 03 | საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა | 279,5 |
| 05 02 04 | კულტურული ღონისძიებები | 380,0 |
| 05 03 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 200,0 |
| 0504 | ინიციატივების თანადაფინანსება | 2,0 |
| 0505 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 180,0 |
| 0506 | საგამომცემლო საქმიანობა | 45,0 |

| | |
|--|--|
| პროგრამის განაცხადის ფორმა N1 | |
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 05 01 |
| პროგრამის დასახელება: | სპორტის სფეროს განვითარება |
| გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაცემსახურება პროგრამა | მიზანი 3 მიზანი 5 |
| პროგრამის განმახორციელებელი: | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: | მუდმივი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | <p>მიზანი: სპორტის სფეროს განვითარებით, თანასწორი შესაძლებლობების შექმნა, გენდერულად სენსიტიური თუ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის, სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p>დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია სპორტის სფეროს განვითარებით, ხელმისაწვდომობის გაზრდით, საყოველთაობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვით, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ეფექტური მენეჯმენტი; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; ასევე, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;</p> <p>პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: სპორტული სკოლის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც სუბსიდირება ხდება დმანისში არსებული ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლის. მეორე ქვეპროგრამა სპორტული ღონისძიებები ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და მოიცავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებას, ნორჩი ფეხბურთელების ხელშეწყობას, სპორტული ინვენტარის განახლებასა და სხვა.</p> |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | 2025 წელი |
| სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა ააიპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა | 980,9 |
| სპორტული ღონისძიებები | 140,7 |
| სულ პროგრამა | 1121,6 |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | გაზრდილია სპორტის ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მოსახლეობის თანაბარი ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, გაუმჯობესებულია ადაპტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა |

ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა

დანართი 4

| | | | |
|--|---|-----|--|
| ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2 | | | |
| პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: | სპორტის სფეროს განვითარება | | |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 050101 | | |
| ქვეპროგრამის დასახელება: | სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა | | |
| გეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 3 - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? | კი | არა | |
| თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ააიპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა | | |
| | 2025წელი | | |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 980,9 | | |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | 0 | | |
| სხვა | 0 | | |
| სულ ქვეპროგრამა | 980,9 | | |
| მიზანი და აღწერა | ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“ უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას სპორტის 12 სახეობის მიმართულებით.სკოლას აქვს სექციები | | |

| | |
|---|--|
| | სოფლებში: გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი სპორტსკოლაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, რომელთაგან 4 ქალბატონია და 18 მამაკაცი. მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: ძიუდოს 4 წრე . ფეხბურთის 3 წრე , ქართული ჭიდაობის - ჭიდაობა სამბოს, თავისუფალი ჭიდაობის, ჭადრაკის, კიკბოქსინგის 2, მაგიდის ჩოგბურთის, მკლავჭიდის, ძალოსნობის, ფრენბურთის. ამ წრეებს ემსახურება 15 მწვრთნელი. წრეებში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ასაკობრივი სპორტსმენები 6-დან 18 წლამდე. სკოლაში რიცხულია 205 ბენეფიციარი 34 გოგონა და 171 ჭაბუკი. სკოლა გეგმავს და განახორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ წახალისებას. ასევე უზრუნველყოფს ცენტრში და სოფლის წრეებში მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით , ისე ქვეყნის გარეთ. |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება | 2025 წ. |
| ქ. დმანისის სპორტსკოლა | 935,7 |
| სოფ. ვარდისუბნის კიკბოქსინგის წრე. | 15,5 |
| სოფ. განთიადის თავისუფალი ჭიდაობის წრე | 18,0 |
| სოფ. გომარეთის ძიუდოს წრე | 11,7 |
| ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება | |
| ქ. დმანისის სპორტსკოლა | X |
| სოფ. ვარდისუბნის კიკბოქსინგის წრე. | X |
| სოფ. განთიადის თავისუფალი ჭიდაობის წრე | X |
| სოფ. გომარეთის ძიუდოს წრე | X |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი) | დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული სკოლის ფუნქციონირებს გამართულად |

სპორტული ღონისძიებები

დანართი 4

| | |
|---|--|
| ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2 | |
| პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: | სპორტის სფეროს განვითარება |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 050102 |
| ქვეპროგრამის დასახელება: | სპორტული ღონისძიებები |
| გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 3 - ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა |

| | | | |
|---|--|---|-----|
| არის ქვეპროგრამა ახალი? | | კი | არა |
| თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | |
| | 2025წელი | | |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 140,7 | | |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | 0 | | |
| სხვა | | | |
| სულ ქვეპროგრამა | 140,7 | | |
| მიზანი და აღწერა | <p>მიზანი: სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის ქალების, კაცების, შშმ პირების და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, მასობრივი სპორტის განვითარების გზით სპორტის სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაცია, ცნობიერების კამპანიების წარმოება. მუნიციპალიტეტში ჩატარდება ტურნირები და სახელობითი თასის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აღინიშნება ევროპის სპორტის კვირეული. დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამასთან, დაფინანსდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სასკოლო ლიგა სადაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სკოლის მოსწავლე იქნება ჩართული, წარმატებულ სპორტსმენებთან ჩატარდება შეხვედრები და უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ გამართულ მასტერკლასებზე ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა. განსაზღვრული ბიუჯეტი მოხმარდება ფორმების, თასების, სიგელებისა და სხვა სპორტული ინვენტარის შეძენას. ხელი შეეწყობა ნაკლებად ცნობადი თუ ცნობადი სპორტის სახეობების, მაგალითად ფეინთბოლის, ფეხბურთის პოპულარიზაციას, როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში და სხვა.</p> | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება | 2025 | | |
| სასკოლო სპორტული ოლიმპიადა | 8000 | | |
| ფეინთბოლი | 4500 | | |
| მუნიციპალური ტურნირები | 5000 | | |
| სხვა სპორტული ღონისძიებები | 5000 | | |
| სასკოლო ლიგა | 5000 | | |
| ნორჩი ფეხბურთელების ხელშეწყობა | 13200 | | |
| ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა | | | |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება | 1 კვარტალი | | |
| სასკოლო სპორტული ოლიმპიადა | X | | |
| ფეინთბოლი | | | |
| მუნიციპალური ტურნირები | X | | |
| სხვა სპორტული ღონისძიებები | | | |

| | |
|--|---|
| სასკოლო ლიგა | X |
| ნორჩი ფეხბურთელების ხელშეწყობა | X |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი) | უზრუნველყოფილია სპორტული ტურნირებისა და შეჯიბრებების ჩატარება და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში |

ბ) კულტურის სფეროს განვითარება

დანართი 3

| პროგრამის განაცხადის ფორმა N1 | |
|--|--|
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 05 02 |
| პროგრამის დასახელება: | კულტურის სფეროს განვითარება |
| გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 4, მიზანი 5 |
| პროგრამის განმახორციელებელი: | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: | მუდმივი |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, კულტურული ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 200-მდე კულტურული ძეგლის აღწერა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია ახალგაზრდების საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობაზე. დმანისის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგადად 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 3 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ესენია: ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომელსაც აქვს ფილიალი სოფელ გომარეთში, ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს სოფელ განთიადისა და სოფელ ვარდისუბნის ფილიალები და დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური, რომელშიც შედის საბავშვო, ცენტრალური და ოთხი სოფლის (ამამლო, გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი) ბიბლიოთეკა. მეოთხე ქვეპროგრამას მოიცავს ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, კულტურული მრავალფეროვნების ფესტივალების, სხვადასხვა კონცერტების გამოფენების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების დაგეგმვა-განხორციელებას და ახალგაზრდების ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრის ორგანიზებას. |
| პროგრამის დასახელება | 2025 წელი |
| კულტურის სფეროს დაწესებულების ხელშეწყობა აიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი | 1097,7 |

| | |
|--|--|
| სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა ააიპ დმანისის სამუსიკო სკოლა | 315,6 |
| საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა ააიპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური | 279,5 |
| კულტურული ღონისძიებები | 380,0 |
| რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა სხვა საქმიანობა. | 200 000 227,0 |
| სულ პროგრამა | 2072,8 |
| მ.შ. კაპიტალური პროექტები | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ყველა წარმომადგენლის (შშმპ, ქალები, კაცები და ა.შ) ჩართულობა |

ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი

დანართი 4

| ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა N2 | | | |
|---|--|-----|--------|
| პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: | კულტურის სფეროს განვითარება | | |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | | | 050201 |
| ქვეპროგრამის დასახელება: | კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 4 მიზანი 5 | | |
| არის ქვეპროგრამა ახალი? | კი | არა | |
| თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა? | ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (ათასი ლარი) | | |
| დასახელება | 2025 წელი | | |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 1097,7 | | |
| სახელმწიფო ბიუჯეტი | | | |
| სხვა | 7,0 | | |
| სულ ქვეპროგრამა | 1104,7 | | |
| მიზანი და აღწერა | დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის , მათ შორის ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების, შშმ პირების და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი პირების, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კოლექტივების, სახელოვნებო და სხვა წრეების | | |

საქმიანობაში. ახალგაზრდებში ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა – განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად. სახვითი, (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების (თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა. ხეზე კვეთა) განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია: ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების, ოსტატების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა. ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა. ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის პირობების შექმნა, სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განვითარება. ამ ექსპოზიციებისათვის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალის მომზადება, საზოგადოებისათვის წარმოჩენა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების აღწერა, ფოტო-ფიქსაცია და სხვ. თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს ეროვნულ და სხვა მუზეუმებთან, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, უცხოეთის სხვადასხვა სამუზეუმო, სამეცნიერო და კულტურის ცენტრებთან. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასწავლო-სარეპეტიციო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ასევე კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და სხვ.

